



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 აგვისტო 2024



N 442/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმში, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ (ს/კ 445601126) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 24 ნოემბერს (წერილი N11427) წარმოდგენილ იქნა ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N694/ს; 07.12.2023), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2023 წლის 21 ივნისს შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. ბათუმში, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N19; ბრძანება N416/ს; 18.08.2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (N21/4016; 19/04/2024), შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (N6045; 17.06.2024), კერძოდ: წარმოდგენილ იქნა ხელოვნური კუნძულის სანაპიროს სტრუქტურის დეტალური პროექტი, ჰიდროლოგიური მიდგომებისა და ჰიდრავლიკური პროექტირების ანგარიში, ჰიდროდინამიკური და წყლის ცვლის შესახებ ანგარიში, მონიტორინგის დაზუსტებული გეგმა, გეოტექნიკური კვლევის ანგარიში, საპროექტო აკვატორიაში ჩამდინარე ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური მონაცემები, საპროექტო მოლების გეგმები და ჭრილები, ხელოვნური კუნძულის გენერალური გეგმა, საპროექტო აკვატორიის ფარგლებში გაყვანილი 100 მ სიღრმის ჭაბურღილის შესახებ ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილ იქნა, ხელოვნური კუნძულის ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების განახლებული დოკუმენტი, ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე 500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში

მოქმედი და პერსპექტიული საწარმოების გათვალისწინებით კუნძულის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, ხელოვნური კუნძულის ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრის შესახებ, ასევე შპს „ტერმინალ 1“-ის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტთან“, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია, ასევე, წარმოდგენილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებზე/მოსაზრებებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესით ასევე, განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N323/ს 24/06/2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა. გარდა ზემოაღნიშნული დაზუსტებებისა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ წარდგენილი შენიშვნების საფუძველზე, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ხელოვნური კუნძულის ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით კომპანია უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლას დამოუკიდებელი პროექტის სახით.

გასათვალისწინებელია, ასევე, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ 2024 წლის 17 ივნისის N6045 წერილით, მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“-ის და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წარმოდგენილ იქნა ხელოვნური კუნძულის და შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ დაგეგმილი უნაპირო ნავმისადგომის ურთიერთგანლაგების სქემა. შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ 2024 წლის 17 ივლისის N7260 წერილით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ Shp ფაილებით წარმოდგენილი საპროექტო ფსკერული მილსადენის აკვატორია ამავე დროს წარმოადგენს ტერმინალ 1-ის ნავმისადგომზე მომავალი საერთაშორისო საზღვაო ხომალდების შემოსვლის, მანევრის და დგომის მარშრუტს, რომელიც გაწერილია ნავსადგურის წესებში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია (N7434; 22.07.2024 და N22764; 31.07.2024 წერილები) რომლის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“-ს არ გააჩნდა ურთიერთშეთანხმება შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდთან. ამასთან, კომპანიის განცხადებით, შპს „ტერმინალ 1“-ს არ შეუტანია ცვლილება დაგეგმილ პროექტში. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ შპს „ტერმინალ 1“-ს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კომპანია დაუშვებლად მიიჩნევს კუნძულის მშენებლობა/მოწყობას წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში. ამასთან, წერილების თანახმად, შემომავალ არხში ნავმისადგომთან და უსაფრთხო ნაპირგამაგრების ექსპლუატაციისათვის სიღრმეების გაზრდა გამოიწვევს შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ნაპირსამაგრების ქანობის დაზიანებას და ჩამოშლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 2 აგვისტოს N21/8202 წერილით, სააგენტოს მიერ ეცნობა შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ აღნიშნული კორესპონდენციისა და ზემოაღნიშნულ წერილებში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის შესაბამის უწყებებთან კომპეტენციის ფარგლებში შეთანხმების შესახებ) წარმოდგენის საჭიროების თაობაზე.

შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ აღნიშნულ საკითხზე სააგენტოში დამატებით წარმოდგენილ იქნა 2024 წლის 5 აგვისტოს N23118 წერილი. ვინაიდან, შპს „ტერმინალ 1“-ის წერილებში დასმული საკითხები სცილდებოდა გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას, აღნიშნული კორესპონდენციის თაობაზე ეცნობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (სააგენტოს 2024 წლის 6 აგვისტოს N21/8278 წერილი) და ეთხოვა დაზუსტებული მოსაზრებების წარმოდგენა აღნიშნული

საქმიანობების (შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით) თავსებადობის შესახებ, მათ შორის, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ დაგეგმილი პროექტის ზემოქმედების თაობაზე შპს „ტერმინალ 1“-ის არსებულ და დაგეგმილ ნავმისადგომზე მომავალი საერთაშორისო საზღვაო ხომალდების შემოსვლის, მანევრისა და დგომის მარშრუტზე, ნავმისადგომების ფუნქციონირების შედეგად, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ინფრასტრუქტურაზე უარყოფით ზემოქმედებასა და აღნიშნული პროექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში, შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ შესაბამის კორესპონდენციებში მითითებულ შესაძლო რისკებზე.

2024 წლის 9 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა №17/5797 წერილი, რომელსაც თან ახლავს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წერილი და შეხვედრის ოქმი, ასევე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი. წარმოდგენილი წერილის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“-ის 31 ივლისის N22764 წერილის განხილვის მიზნით, რომელშიც მოცემულია საპროექტო კომპანია „ანკორ ინჟინერინგის“ წინასწარი შეფასება შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ განსახორციელებელი მშენებლობის შესახებ, სამუშაო შეხვედრა გაიმართა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში. როგორც შეხვედრის ოქმსა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წერილშია აღნიშნული, ამბასადორ ბათუმი აილენდი“-ს პროექტით გათვალისწინებული მანძილი „ტერმინალ 1“-სა და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ შორის, არ შეზღუდავს იმ ნავმისადგომზე ტანკერების შემოსვლა-გასვლას, რომლითაც სარგებლობს შპს „ტერმინალი 1“. ხოლო, ზემოაღნიშნული კორესპონდენციების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილში აღნიშნულია, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ დაგეგმილი მშენებლობა და მისი შემდგომი ექსპლუატაცია არ შეუქმნის საფრთხეს შპს „ტერმინალ 1“-ის ოპერირების ქვეშ მყოფი სანავსადგურო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას, მათ შორის ტერმინალის აკვატორიაში გემების უსაფრთხო შესვლა/გასვლას. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველი საკითხები ცდება გზშ-ს ფარგლებს, სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე იხელმძღვანელა უფლებამოსილი უწყებების მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციების საფუძველზე.

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ 2024 წლის 12 აგვისტოს N8173 წერილით წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც დანართის სახით თან ერთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზემოაღნიშნული კორესპონდენცია შპს „ტერმინალ 1“-ის და შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ საქმიანობებთან დაკავშირებით. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ წერილის თანახმად, შპს „ტერმინალ 1“ ის უნაპირო ნავმისადგომის ალტერნატიული ნახაზი მიწოდებული იქნა აღნიშნული კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაგრძელდა ადმინისტრაციული წარმოება და ასევე, ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ე. ბათუმში, ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო აღმოსავლეთით, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩისა და რკინიგზის სადგურის მიმდებარედ საზღვაო აკვატორიაში (ს/კ 05.30.38.037) ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ერთი ხელოვნური კუნძულის მოწყობას. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 144,3223 ჰა-ს. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა (ს-2) სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი), სარკინიგზო მაგისტრალი და შემდეგ საცხოვრებელი ზონა. სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან დაახლოებით 220 მეტრში მდებარეობს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნავთობპროდუქტების საცავი. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრში განთავსებულია შპს „ტერმინალ 1“-ის ნავთობპროდუქტების საცავი და ნავმისადგომი. ამავე მიმართულებით, დაახლოებით 200 მეტრში მდებარეობს შპს „ბათუმის

საზღვაო ნავსადგური“, ხოლო ჩრდილოეთის მხარეს დაცული ნავმისადგომი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 65 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ასევე განთავსებულია კვების ობიექტები. საპროექტო აკვატორიის ფარგლებში ზღვას უერთდება სამი ზედაპირული წყლის ობიექტი: მდ. ბარცხანა, მდ. კუბასწყალი და უსახელო ხევი, ხოლო საპროექტო აკვატორიის გარეთ, ჩრდილოეთით დაახლოებით 500 მ-ის დაშორებით შავ ზღვაში ჩაედინება მდ. ყოროლისწყალი. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება საზღვაო აკვატორიის ტერიტორია და არ მოხდება მუნიციპალური ან კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოყენება.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საპროექტო კუნძულის განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივები და არაქმედების ალტერნატივა, რომელიც პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარების საფუძველზე უარყოფილ იქნა. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის 3 ალტერნატიული ვარიანტიდან (I - ქ. ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორია; II- მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარე საზღვაო აკვატორია; III- მწვანე კონცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საზღვაო აკვატორია) ბიოლოგიურ გარემოზე, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე და სანაპირო ზოლის განვითარების დინამიკაზე ზემოქმედებების, აგრეთვე წყალქვეშა კანიონთან სიახლოვის, წყალქვეშა ფერდის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების, საპროექტო არეალის მიმდებარე სახმელეთო ნაწილის და წყალქვეშა ფერდის ანთროპოგენური დატვირთვისა და სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უპირატესობა I ალტერნატივას მიენიჭა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო არეალის საზღვარზე წყლის სიღრმე არ აღემატება 8 მ-ს და მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული ბათუმის კანიონიდან. ხელოვნური კუნძულის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-721901, Y-4614390; X-722623, Y-4615007; X-723053, Y-4615727; X-722609, Y-4616038; X-722072, Y-4615950; X-721640, Y-4615367; X-721682, Y-4615065; X-721637, Y-4614631. პროექტის მიხედვით, საპროექტო არეალის 144.3223 ჰა ფართობიდან, პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება 108.5032 ჰა, საიდანაც ხელოვნურად შექმნილი ტერიტორიის ფართობი იქნება 84 ჰა, ხოლო დანარჩენი ტერიტორია გამოყენებული იქნება დამცავი მოლების და ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის მოსაწყობად. დაგეგმილი ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის და ერთი ხელოვნური კუნძულის ზღვის ტალღის ზემოქმედებისგან დასაცავად, პროექტი ითვალისწინებს 3 დამცავი მოლოს - აღმოსავლეთის და დასავლეთის დამცავი მოლოების და ერთი ძირითადი სანაპიროს დამცავი მოლოს მოწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნახევარკუნძულებისა და ანკერული საყრდენების თხემის ნიშნულები იქნება ზღვის დონიდან 3 მ. აღმოსავლეთ მოლოს თხემის ნიშნული იქნება +6,6 - +7,4 მ შორის, სიგანე 4,99- 12,5 მ-ის ფარგლებში. რაც შეეხება დასავლეთ მოლოს, მისი თხემის ნიშნული იქნება +3,5 - +7,6 მ-ის ფარგლებში, ხოლო სიგანე 4,8 - 10,2 მ-ის ფარგლებში. თითოეული დამცავი მოლოს სიგრძე იქნება დაახლოებით 1100 მ. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კლდოვანი ქანების გამოყენება მოხდება დამცავი მოლოს სანაპირო ზოლის სიახლოვეს მდებარე მონაკვეთებში, ხოლო დანარჩენ მონაკვეთებში, ჯავშნის ფენისთვის გამოყენებული იქნება ბეტონის ხელოვნური ბლოკები, ე.წ. „XBloc“-ები. სანაპირო დამცავი მოლოს თხემის ნიშნული იქნება +7 - +7,3 მ-ის ფარგლებში, თხემის სიგანე კი - 13,31 მ - 14,66 მ-ის ფარგლებში. სანაპირო დამცავი მოლოს სიგრძე დაახლოებით 630 მ-ია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტალღის პარამეტრების დადგენის მიზნით, განხორციელდა ქარისა და ტალღის რეჟიმის კვლევა. ჩატარდა ზღვის ტალღების სანაპირო ზოლის მიმართულებით გავრცელების მოდელირება და განხორციელდა საპროექტო ნაგებობის გასწვრივ

ზღვის შტორმული ღელვის დეტალური კვლევა. აღნიშნული კვლევების შედეგები წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიშში. აგრეთვე, პროექტირების პროცესში შესრულდა ჯავშნის ფენის მდგრადობის გაანგარიშება, რის შემდგომაც განხორციელდა ტალღის გარბენის და გადმოდინების მნიშვნელობების გაანგარიშება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოლოების მდგრადობის გაანგარიშებამდე განხორციელდა კვლევა თუ რამდენად ჩაქრობადია, არაჩაქრობადია ან რამდენად ხდება საანგარიშო ზღვის ტალღის ჩაქრობა მისი გარკვეულ მონაკვეთამდე მიღწევამდე. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს მოლოების სტაბილურობის გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია და მიღებული შედეგები. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შემომზადებული ნაგებობის თხემზე ტალღის გაანგარიშებული საშუალო გადმოდინების მაჩვენებლები აკმაყოფილებს საშუალო გადმოდინების კრიტერიუმებს დაბალი სიჩქარით მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისთვის, იშვიათი შტორმის დროს ტალღის გადმოდინების შესახებ მგზავრთა გაფრთხილების მიზნით, შესაძლებელია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (მაგ. გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟება, ფიზიკური ბარიერების, მათ შორის მოძრავი ასაწევი ბარიერების დამონტაჟება და ა.შ.).

გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო აკვატორიაში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, დამცავი მოლოების განთავსების გარკვეულ მონაკვეთებზე საჭირო იქნება ფსკერდაღმავების სამუშაოების ჩატარება. ამოღებული ფსკერული ნალექები (გრუნტი), რომლის რაოდენობა გზშ-ის ანგარიშის თანახმად შეადგენს დაახლოებით 139126.2 მ³-ს, გამოყენებული იქნება ხელოვნური კუნძულის ტერიტორიის ფორმირებისათვის. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფსკერდაღრმავების სამუშაოების შემდეგ, ბეტონის ხელოვნური ბლოკების (Xbloc) ჯავშნის ფენების და მოლოს ფერდის ქვედა კიდის ქვეშ დაღრმავებული არელები ამოივსება გრანულოვანი მასალით, ხოლო შემდეგ მოხდება მოლოს კონსტრუქციის მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დამცავი მოლოების მოწყობისათვის ხიმინჯების მოწყობა საჭირო არ იქნება, მოლოს საძირკვლის ქვების და ბეტონის ხელოვნური ბლოკების განთავსება მოხდება წყალქვეშა ფერდზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კუნძულის ჰიდროტექნიკური ნაგებობების (მოლები, ნავმისადგომი, კუნძული, ნახევარკუნძულები) მდგრადობის მონიტორინგის მიზნით, გათვალისწინებულია გეოდეზიური მეთოდებით დაკვირვების (ჯდენებზე და დეფორმაციებზე) სისტემის მოწყობა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია ხელოვნური სანაპიროების მოწყობა ორივე ნახევარკუნძულის წინ, მოლოების ქარისგან დაცულ (ქარზურგა) მხარეს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხელოვნურ სანაპიროებზე გამოსაყენებელი ქვიშის მასალის დიამეტრის დასადგენად განისაზღვრა ტალღის მაქსიმალური ორბიტალური სიჩქარე და განხორციელდა საპროექტო ნაგებობის გასწვრივ ზღვის შტორმული ღელვის დეტალური კვლევა. სანაპირო ზოლში ტალღის რეჟიმის მნიშვნელობები განისაზღვრა ტალღის ემპირიული ტრანსფორმაციის მეთოდებით.

პროექტის მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ მოლოების წინ ტალღის დარტყმისგან დაცულ ტერიტორიებზე, დაგეგმილია ორი ნავმისადგომის მოწყობა 40მ სიგრძის იახტებისთვის. ამ ზონებისთვის იახტების საერთო რაოდენობა იქნება 42. ნავმისადგომის გარკვეულ უბნებში გათვალისწინებულია გემამრიდების დამონტაჟება, აგრეთვე ნავმისადგომის გასწვრივ მოხდება 15 ტონა ტვირთამწეობის ბაგირის დასამაგრებელი ბოძკინტის მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნავმისადგომის ტიპიური ჭრილები და შესაბამისი გაანგარიშებების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კუნძულის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობაა დაახლოებით 5 წელი. სამუშაო დღეების რაოდენობა კი წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 300 დღეს. სამშენებლო სამუშაოების შესრულება დაგეგმილია ორცვლიან სამუშაო გრაფიკით, 8 საათიანი სამუშაო დღით. კუნძულის მშენებლობის პერიოდში დასაქმდება დაახლოებით 250-300 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის პირველ ეტაპზე დაგეგმილია სამშენებლო ბანაკისა და მშენებლობისათვის საჭირო დანადგარ-მექანიზმების მობილიზაცია, სამშენებლო მოედნებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ხოლო შემდგომ დაიწყება კუნძულის მოწყობისათვის საჭირო ძირითადი სამუშაოები, მათ შორის: დამცავი მოლების მოსაწყობად შესრულდება ფსკერდადრმავეების სამუშაოები, მომზადდება მოლოების სამირკვლები, შემდგომ მოხდება მუდმივი კონსტრუქციების (მოლოები, ნახევარკუნძულები და კუნძული, შემოსასვლელი არხი და შიდა არხები) მშენებლობა და შემოსასვლელი არხის და შიდა არხების ფსკერდადრმავეების სამუშაოების განხორციელება.

სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება ხელოვნური კუნძულის საპროექტო არეალში, მდ. ბარცხანასა და მდ. კუბასწყალის შესართავებს შორის მოქცეულ სანაპირო ზოლში არსებული ხელოვნურად მოწყობილი ტერიტორია (ნაპირდამცავი ჯებირის ტერიტორია), რომლის ფართობია 12,5 ჰა (GPS კოორდინატები: X-721902, Y-4614392; X-721848, Y-4614469; X-722522, Y-4615041; X-722600, Y-4614987). ქ. ბათუმში შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე 2022 წლის 18 აგვისტოს გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (N263/ს), რომლის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებარა გზშ-ის პროცედურას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ბანაკის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია ხელოვნურადაა შექმნილი ინერტული მასალების გამოყენებით და შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მცენარეული საფარი და ცხოველთა საბინადრო ადგილები არ გვხვდება. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარი დაცილებულია 65 მ-ით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობა: 120 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი (უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი დაახლოებით 200 მ), სამშენებლო ტექნიკის სადგომი, ბეტონმზიდი მიქსერების სადგომი, ინერტული მასალების საწყობი, დამხმარე სახელოსნოები, ბლოკების საწარმოო უბანი, დიზელის საწვავის ორი რეზერვუარი (თითოეული 20 მ³ მოცულობით), მზა ბლოკების დასაწყობების უბანი, ამწე მექანიზმი, საოფისე და მუშათა საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები (50-60 ადამიანზე გათვლილი). მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო ბანაკის და სამშენებლო მოედნების ელექტრომომარაგება დაგეგმილია არსებული ქსელიდან. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე შესასვლელად არსებობს გზა, რომელიც მოწყობილი იყო ნაპირსამაგრი ჯებირის მშენებლობის პროცესში. პროექტით გათვალისწინებულია მეორე შესასვლელის მოწყობა ოდისეი დიმიტრიადის ქუჩიდან, რომლის სიგრძე გზშ-ის ანგარიშის თანახმად არ იქნება 30-40 მ-ზე მეტი.

კუნძულის მოწყობის სამუშაოები შესრულებული იქნება სახმელეთო ნაწილიდან, კერძოდ: სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან და სანაპირო ზონიდან თანდათან მოხდება დამცავი მოლების მოწყობა და მოლოს უკან შექმნილი არეალი შეივსება ქვებით და ინერტული მასალით. ინერტული მასალით მომარაგება მოხდება ადგილობრივი ლიცენზირებული კარიერებიდან, ხოლო მოლოების მშენებლობისათვის საჭირო სხვადასხვა ზომის ქვების შემოტანა დაგეგმილია ქვეყანაში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან და თურქეთის რესპუბლიკიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხელოვნური კუნძულის და ნახევარკუნძულების ტერიტორიების ფორმირებისათვის საჭირო ინერტული მასალების (ბალასტი) საერთო რაოდენობა იქნება 5185000 მ³, ხოლო დამცავი მოლების მოსაწყობად საჭირო სხვადასხვა ზომის ქვების საერთო რაოდენობა იქნება 197310,6 მ³. ბეტონის წარმოებისათვის საჭირო ინერტული მასალის შემოტანა მოხდება მზა სახით, ლიცენზირებული კარიერებიდან, ხოლო ცემენტის, არმატურის და სხვა მასალების შესყიდვა დაგეგმილია ადგილობრივი ბაზრიდან.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით წყალალევა დაგეგმილია ოდისიე დიმიტრიადის ქუჩაზე არსებული წყალსადენის ქსელიდან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კუნძულის მშენებლობის პერიოდში, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება 5 550 მ³/წელ. სამშენებლო სამუშაოებისას ტექნიკური წყალი ძირითადად გამოყენებული იქნება ბეტონის ხსნარის წარმოებისათვის, ამტვერების საწინააღმდეგოდ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ზედაპირის დასანამად, ავტოტრანსპორტის საბურავების გასარეცხად და სხვა. ტექნიკური დანიშნულების წყლის აღება დაგეგმილია მდ. ბარცხანადან. აღებული წყლის მოცულობა იქნება დაახლოებით 27410 მ³/წელ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და საწარმოო-სანიაღვრე წყლების წარმოქმნა. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად გათვალისწინებულია 2x20 მ³ ტევადობის ჰერმეტიკული მიწისქვეშა რეზერვუარის მოწყობა, რომელიც პერიოდულად დაიცვლება მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ტიპის ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება დაახლოებით 5272,5 მ³/წელ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა დაკავშირებული იქნება სატვირთო ავტომანქანების საბურავების სამრეცხაოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილ ჩამდინარე წყლებთან და სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიასთან. წარმოდგენილი გაანგარიშებების მიხედვით, მსგავსი ტიპის წყლების მოცულობა იქნება 6158 მ³/წელ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან ჩამდინარე წყლები შესაძლებელია დაბინძურებული იყოს ნავთობპროდუქტებით და შეწონილი ნაწილაკებით, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილია გამწმენდი ნაგებობის (ნავთობდამჭერი) მოწყობა. გამწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდინარე ბარცხანაში. წყალჩაშვების წერტილის კოორდინატებია: x=721898; y=4614381.

დოკუმენტის თანახმად, ფსკერდაღრმავების სამუშაოების დაწყებამდე ყოველ კონკრეტულ უბანზე მოხდება ფსკერული ნალექების კვლევა და დაბინძურების დაფიქსირების შემთხვევაში, დაბინძურებული გრუნტი ჰერმეტიკული ძარის მქონე ავტოტრანსპორტით გადატანილი იქნება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ მყარი საფარის მქონე მოედანზე, ხოლო გაუწყლოების შემდეგ, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხელოვნური კუნძულის განთავსების ტერიტორია მდებარეობს 7 ბალიან სეისმურ ზონაში. სანაპირო ზოლში დიდი გავრცელება აქვს მეოთხეული სისტემის ზღვიურ ნალექებს, რომლებიც თანამედროვე ალუვიონით არის დაფარული. ზღვიური ნალექები წარმოდგენილია ნაცრისფერი კარბონატული თიხებით და ფხვიერი კონგლომერატებით. ნალექების სისქე 150 მ-მდეა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებულია ხელოვნური კუნძულის მოსაწყობად შერჩეული საზღვაო აკვატორიის წყალქვეშა ფერდის გეოლოგიური პირობებისა და სანაპირო ზოლის გეოლოგიური და გეოტექნიკური კვლევები, განხორციელებულია გრუნტის მოძრაობის საშიშროების ანალიზი და პროექტთან დაკავშირებული გრუნტის სეისმური მოძრაობის შეფასება. საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა 21 სანაპირო ჭაბურღილი (საერთო სიღრმით 630 მ). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული კვლევის ფარგლებში, გრუნტის სიმკვრივის და სიმტკიცის დადგენის მიზნით ყოველ 1.5მ-ში ტარდებოდა სტანდარტული შეღწევადობის ტესტი. სულ ჩატარდა 325 სტანდარტული შეღწევადობის ტესტი. აღებულ იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშები. საკვლევ ტერიტორიაზე ბურღვის დროს სხვადასხვა სიღრმიდან აღებულ ნიმუშებზე განხორციელდა სიმკვრივის ტესტირება, სულ ჩატარდა 17 გამოცდა სიმკვრივეზე. ასევე, ადგილზე განხორციელდა ძვრის 17 გამოცდა. აგრეთვე, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ ტერიტორიაზე, სხვადასხვა სიღრმეებზე ჩატარდა გრუნტის სიმტკიცეზე გამოცდები, სულ 13 გამოცდა. ჭაბურღილებში, თიხა-ქვიშის - ქვიშიანი თიხის ერთეულებში ჩატარდა

პრესიომეტრული გამოცდები 3 მეტრის ინტერვალით. სულ ჩატარდა 107 ამ ტიპის გამოცდა. გარდა აღნიშნულისა, სავლე პირობებში ჩატარდა 5 CPTu გამოცდებიც. ჭაბურღილებიდან აღებულ ნიმუშებზე განხორციელდა სამღერძა კუმშვაზე გამოცდა, პირდაპირი ძვრის გამოცდა და კონსოლიდაციის ცდები. ასევე განხორციელდა საკვლევ ტერიტორიაზე გრუნტის გამოცდა (23 გამოცდა), მოხდა გრუნტის კუთრი მოცულობის წონისა და გრუნტის წყალშემცველობის განსაზღვრა. გრუნტის კლასიფიკაციის მიზნით ჩატარდა საცრული ანალიზი, დადგინდა დენადობისა და პლასტიურობის ზღვარი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩატარდა დროის ფაქტორზე დამოკიდებული დაჯდომის ანალიზი, რომლის მიხედვით საპროექტო რეგიონში გრუნტის დაჯდომასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გრუნტის მოსალოდნელი საერთო დაჯდომა 33,7 სანტიმეტრამდეა, გრუნტის დაჯდომის პროცესის 70%-90% დასრულდება ერთ წელიწადში, ხოლო მომდევნო 10 წლის განმავლობაში გრუნტის დაჯდომა მოსალოდნელია დაახლოებით 3 სმ-დან 10 სმ-მდე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გათხევადების და გვერდითი გავრცელების ანალიზის მიხედვით, გრუნტის გათხევადების რისკი არ არის მოსალოდნელი. აგრეთვე, გზშ-ის ანგარიშში გაჯირჯვების პოტენციური შეფასებულია როგორც „დაბალი“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გრუნტის გაჯირჯვების ანალიზის ფარგლებში განხორციელდა გაჯირჯვების შემდგომი მდგრადობის ანალიზი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო აკვატორიის ფარგლებში არსებული ღრმა გრუნტების შეფასების მიზნით, გაყვანილ იქნა 100 მ სიღრმის ერთი ჭაბურღილი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო აკვატორიის წყალქვეშა ფერდი საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და დასაშვებია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის პერიოდისათვის წყალქვეშა ფერდის ქანების სტაბილურობის შენარჩუნებისა და ეროზიული პროცესების გააქტიურების რისკების შემცირების მიზნით შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის: სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს ინჟინერ-გეოლოგის მეთვალყურეობის პირობებში და რეკომენდაციების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში გატარდება დამატებითი პრევენციული ღონისძიებები; დამცავი მოლების მოწყობა მოხდება საპროექტო აკვატორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით; დამცავი მოლების მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება წყალქვეშა ფერდის საპროექტო უბნების მდგომარეობის პერიოდული მონიტორინგი; დაცული იქნება წყალქვეშა ფერდის სამუშაო დერეფნის საზღვრები და სხვა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ხელოვნური კუნძულის სამშენებლო ტერიტორიის მორფოდინამიკის შესახებ და დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ხელოვნური კუნძულის მშენებლობა, უარყოფით გავლენას არ მოახდენს ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობაზე.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ზღვისა და მიწისქვეშა წყლების ურთიერთქმედების ხასიათის გამოსავლენად ჩატარებულია დაკვირვებები მდინარე ენგურის დელტაში (ფიჩორა) და მდინარე რიონის ჭაობიან დაბლობზე (გრიგოლეთი). მიწისქვეშა წყლები შესწავლილ იქნა ზღვიდან 50, 200, 550, 1000 და 1500 მ-ის მანძილზე. თითოეული საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში გაყვანილ იქნა 5, 10 და 20მ სიღრმის 3 ჭაბურღილი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყლის მაღალი დონის დროს მიწისქვეშა წყლები თავისუფლად ჩაედინება 5მ სიღრმეზე, ხოლო 10 და 20მ სიღრმეზე მიწისქვეშა წყლების ჩაშვება შეფერხებულად ხდება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ზღვის აკვატორიაში და მის ფარგლებს გარეთ ზღვის წყლის და ფსკერული ნალექების ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებულია კვლევები. მათ შორის წყლის ნიმუშები აღებულია 10 სადგურში, ხოლო ფსკერული ნალექების ნიმუშები აღებულია 24 სადგურში. წყლის ნიმუშებში განისაზღვრა შემდეგი პარამეტრები: ტემპერატურა; ელექტროგამტარობა; pH; წყლის სიმღვრივე; შეწონილი ნაწილაკები; წყალში გახსნილი ჟანგბადი; ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება

(ჟბმ), ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH), ლითონები ნიკელი (Ni), სპილენძი (Cu), თუთია (Zn), კადმიუმი (Cd), ტყვია (Pb). ფსკერულ ნალექებში - ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები (TPH); ლითონები: კადმიუმი (Cd), ტყვია (Pb), ნიკელი (Ni), მანგანუმი (Mn), თუთია (Zn), სპილენძი (Cu), ქრომი (Cr), რკინა (Fe), დარიშხანი (As). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წყლის ნიმუშების ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით, წყლის ტემპერატურა 12.2 - 15.9°C დიაპაზონშია. pH-ის მაჩვენებელი მერყეობს 7,90 - 8,25 დიაპაზონში. ელ. გამტარობის მაჩვენებელი 0,677 - 2,743 სიმ/მ დიაპაზონშია. სიმღვრივე 0,73 - 7,90 FTU დიაპაზონშია. შეწონილი ნაწილაკების მაჩვენებელი <2 - 6,2 მგ/ლ ფარგლებშია. გახსნილი ჟანგბადის მაჩვენებელი დასაშვები ნორმის (>4 მგ/ლ) ფარგლებშია 9,3-10,1 მგ/ლ. ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილების მაჩვენებელი <2-3,3 დიაპაზონშია. ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების (TPH) შემცველობა წყლის ნიმუშებში არ ფიქსირდება, მეთოდის განსაზღვრის ზღვარზე (0,05 მგ/ლ) ნაკლებია. ლითონების Ni, Cd, Pb შემცველობა არ აღინიშნება, მეთოდის განსაზღვრის ზღვარზე ნაკლებია, ხოლო დაფიქსირებული Cu და Zn-ის შემცველობა - ნორმის ფარგლებშია.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ფსკერული ნალექების ქიმიური ანალიზის შედეგები და აღნიშნულია, რომ აღებული სინჯებიდან (17 სადგური) მხოლოდ 4 ნიმუშში დაფიქსირდა ნავთობის ნახშირწყალბადების მცირე შემცველობა 15,4 - 36,7 მგ/კგ დიაპაზონში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული ნიმუშები აღებულია ნაპირიდან 100-150 მეტრამდე მანძილზე, მდ. ბარცხანა და მდ. კუბასწყალის შესართავების მიმდებარე აკვატორიაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მდ. ბარცხანას და მდ. კუბასწყალის შესართავებს შორის მონაკვეთში ფსკერული ნალექები მნიშვნელოვნადაა დაბინძურებული. აგრეთვე, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ფსკერულ ნალექებში დაფიქსირდა ლითონების: ქრომის, რკინისა და მანგანუმის მაღალი შემცველობა, ხოლო ზოგიერთი სადგურიდან აღებულ ნიმუშებში თუთიის, ნიკელის და სპილენძის უმნიშვნელოდ მომატებული შემცველობა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო აკვატორიის ფარგლებში ზღვას უერთდება სამი მდინარე- მდ. ბარცხანა, მდ. კუბასწყალი და უსახელო ხევი, ხოლო აკვატორიის ჩრდილოეთით ზღვას უერთდება მდ. ყოროლისწყალი, რომელიც კუნძულის აკვატორიიდან გამოყოფილია დაცული ნავმისადგომის ინფრასტრუქტურით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია აღნიშნული მდინარეების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნულია, რომ მდინარე ბარცხანა შეუსწავლელია ჰიდროლოგიური თვალსაზრისით, რის გამოც წყლის მაქსიმალური ხარჯები დადგენილია მეთოდით („კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“), რომლის მიხედვით მდ. ბარცხანას 1%-იანი წყლის მაქსიმალური ხარჯი საპროექტო კვეთში შეადგენს 365 მ³/წმ. მდინარე კუბასწყალის 161 მ³/წმ. მდ. ყოროლისწყალის 548 მ³/წმ. ხოლო უსახელო ხევის წყლის მაქსიმალური ხარჯი საპროექტო კვეთში შეადგენს 9,97 მ³/წმ. პროექტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიაში ჩაედინება მხოლოდ მდ. კუბასწყალი, ხოლო მდ. ბარცხანა მოქცეული იქნება დასავლეთი დამცავი მოლოს გარეთ. პროექტით გათვალისწინებულია უსახელო ხევის წყლის 420 მ სიგრძისა და 6 მ სიგანის გამყვანი კოლექტორის საშუალებით ზღვაში ჩაშვება, მდ. ბარცხანას შესართავიდან დაახლოებით 150 მ-ის დაცილებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ხევის გამყვანი კოლექტორის პარამეტრები გაანგარიშებულია ხევის 100 წლიანი განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯების (14.40 მ³/წმ) უსაფრთხო გატარების უზრუნველყოფის მიზნით. საპროექტო კოლექტორზე მიერთებამდე უსახელო ხევი საავტომობილო გზას, სარკინიგზო მაგისტრალს და საცხოვრებელ ზონას გადაკვეთს დახურული კოლექტორით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ხელოვნური კუნძულის მოწყობა აჭარის სანაპირო ზოლის განვითარების დინამიკაზე ნეგატიურ ზემოქმედებას არ მოახდენს. პროექტის განხორციელებით ადგილი აღარ ექნება საპროექტო აკვატორიის სანაპირო ზოლის წარეცხვის პროცესს და ხელოვნურად შექმნილი ხმელეთის

ტერიტორიით შესაძლებელი გახდება ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში მიმდინარე ეროზიული პროცესებით გამოწვეული დანაკარგის კომპენსაცია. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია მდ. ბარცხანას, უსახელო ხევის და მდ. კუბასწყლის ნატანის ტრანსპორტირების პროგნოზების შესახებ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მდ. ბარცხანას მიერ ნატანი მასალის აკუმულირება მოხდება შესართავის მიდამოებში, რაც შეამცირებს კუნძულის სამხრეთი მოლოს მიმდებარე არეალის დაღრმავების ალბათობას და დადებითად იმოქმედებს საპროექტო აკვატორიის სანაპირო ზოლის მდგრადობაზე. მდ. ბარცხანის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედების რისკი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მინიმალური იქნება.

რაც შეეხება მდ. კუბასწყალს, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მისი შესართავი მოქცეული იქნება ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიაში და არსებობს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და მყარი ნატანის ტრანსპორტირების პირობებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის განხორციელებით მოსალოდნელია ნატანის დაგროვება შიდა აკვატორიაში. ვინაიდან, მდინარის შესართავთან ადგილი ექნება დინების შეფერხებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საჭირო იქნება შესართავთან მყარი ნატანის დაგროვების სისტემატური მონიტორინგი და დაგროვების შესაბამისად შესართავის ნატანისაგან გაწმენდა. აგრეთვე, მდინარის წყლის ხარისხი ზემოქმედებას მოახდენს კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ხარისხზე. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შავი ზღვის დონეთა ცვლილება მიქცევა-მოქცევის დროს შეადგენს 10-15 სმ-ს, რაც ამცირებს ხელოვნური კუნძულის შიდა არხებში წყლის ცვლის ინტენსივობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჩატარებულია შიდა აკვატორიაში წყლის ცვლის გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ცირკულაციის ანალიზის შედეგების მიხედვით, აკვატორიაში წყლის განახლებისთვის საჭირო იქნება 7-10 დღე.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ კუნძულის ფარგლებში მოქცეულ აკვატორიაში წყლის ხარისხი იქნება კარგი და მისი გაუარესება მოსალოდნელი არ არის. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თავდაპირველად ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ხარისხის გაუარესების პრევენციის მიზნით, მოიაზრებოდა შიდა აკვატორიიდან წყლის გარე აკვატორიაში გადატუმბვა ტუმბო დანადგარების საშუალებით, რაც ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. შესაბამისად, შიდა აკვატორიაში, კერძოდ: ხელოვნური კუნძულის მოკლე და გრძელ განშტოებებს შორის არსებულ სივრცეში წყლის მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით, გათვალისწინებულია „submersible agitator mixer“-ის დანადგარების გამოყენება, რომლებიც დამონტაჟდებიან წყლის ქვეშ 1,5-2მ სიღრმეზე, უძრავ მეტალის პადონზე ან კოლონაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დანადგარის ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით, დანადგარი უზრუნველყოფს დინების 0,1-0,2 მ/წმ-ით აჩქარებას. დანადგარების გამოყენება მოხდება შიდა აკვატორიის წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგების მიხედვით. პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია 2 დანადგარის დამონტაჟება, ხოლო მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია რაოდენობის გაზრდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დანადგარების გამოყენება, წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სპეციალური აღჭურვილობის და მასალების ტრანსპორტირებასთან, აგრეთვე მძიმე ტექნიკის გადაადგილებასთან. მშენებლობის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელია ინერტული მასალების სამშენებლო უბნამდე ტრანსპორტირებისას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან ინერტული მასალის და ქვების ტრანსპორტირება მოხდება საავტომობილო ტრანსპორტის

გამოყენებით, ხოლო თურქეთის რესპუბლიკიდან ქვების ტრანსპორტირებისათვის როგორც საავტომობილო, ასევე საზღვაო ტრანსპორტის (უპირატესად დაგეგმილია საზღვაო ტრანსპორტის) გამოყენება. მასალების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება მაღალი ტვირთამწეობის თვითმცლელი ავტომანქანები (20-25 მ³ ტევადობის და მეტი). დღის განმავლობაში დაგეგმილია 70-80 სატრანსპორტო ოპერაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ალტერნატიული გზების გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია და სატრანსპორტო ოპერაციების შესასრულებლად ძირითადად გამოყენებული იქნება ქალაქის ცენტრალური მაგისტრალები, ძირითადად ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა (რომელზეც გადის საერთაშორისო მნიშვნელობის (E 70) გზა) და ბაგრატიონის ქუჩა. მშენებლობის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით, გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: შესაძლებლობის შემთხვევაში სამშენებლო მასალების და ტექნიკური საშუალებების შემოტანა რკინიგზით ან ზღვით; შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნება დასახლებული პუნქტების შემოვლითი გზები; გზების დაზიანების შემთხვევაში მოხდება მათი აღდგენა; გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდება დღის საათებში; სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება პიკის საათებში; გზების დაზიანების შემთხვევაში მოხდება მათი აღდგენა; სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, სს „საქართველოს რკინიგზას“ და სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნიათ. აგრეთვე, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ წარმოდგენილია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ წერილი, რომლის მიხედვით შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ არ არის წინააღმდეგი წარდგენილი სატრანსპორტო სქემის გამოყენებაზე.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კუნძულის მოწყობის პროცესში არსებობს საპროექტო საზღვაო აკვატორიის ზღვის წყლის, სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის, ასევე საპროექტო კუნძულის და ნახევარკუნძულების ტერიტორიების გრუნტის და ფსკერული ნალექების მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რისკები, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სამშენებლო და საწვავ-საპოხი მასალების შენახვისა და სამშენებლო ტექნიკის საწვავით გამართვის წესების დარღვევით; გაუმართავი სამშენებლო ტექნიკიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის და ზეთების დაღვრით; სამშენებლო ბანაკში და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის წესების დარღვევით და სხვა. ანგარიშის თანახმად მოხდება გამოყენებული სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაბინძურების რისკის მქონე ობიექტები ძირითადად კონცენტრირებული იქნება სამშენებლო ბანაკში. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიებზე ნაყარი მასალების განთავსებისათვის მოწყობილი იქნება ფარდულის ტიპის სათავსები, ხოლო საწვავის სამარაგო რეზერვუარები დამონტაჟებული იქნება წყალგაუმტარი ფენით დაფარული საფარის და შემოზღუდვის მქონე მოედნებზე. აგრეთვე, როგორც აღინიშნა ბანაკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიადვრე წყლების მართვის მიზნით გათვალისწინებულია როგორც შიდა საკანალიზაციო სისტემის, ასევე გამწმენდი დანადგარის (ნავთობდამჭერი) მოწყობა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საზღვაო აკვატორიის წყლის და ფსკერული ნალექების კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სანაპირო ზოლის სიახლოვეს, დაახლოებით 100 მ მანძილზე აღინიშნება წყალქვეშა ფერდის ფსკერული ნალექების ნავთობით და ნავთობპროდუქტებით ისტორიული დაბინძურების მაღალი დონე, რაც შედარებით მკვეთრადაა გამოხატული მდ. ბარცხანასა და მდ. კუბასწყალის შესართავების მიმდებარე სანაპირო ზოლში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კვლევის შედეგების მიხედვით, ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა დასაშვებ ნორმაზე (500 მგ/კგ) მაღალია მდ. ბარცხანას და მდ. კუბასწყალის შესართავებს შორის მონაკვეთში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, რადგან ნავთობპროდუქტებით დაბინძურება აღინიშნება ფსკერული ნალექების ღრმა ფენებში

და საზღვაო აკვატორიის ამ მონაკვეთის გაწმენდა შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხდება ისტორიული დაბინძურების მქონე წყალქვეშა ფერდის დაფარვა, დაბინძურებული ფსკერული ნალექები მოექცევა კუნძულის ბირთვის ქვეშ და გამოირიცხება დაბინძურების გავრცელება ზღვის აკვატორიაში.

ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიის წყლის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს მდ. კუბასწყალის წყლის ხარისხმა, აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საჭირო იქნება მდინარის წყლის დაბინძურების წყაროების ლიკვიდაციის სამუშაოების შესრულება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის და მდ. კუბასწყალის ხეობაში არსებული საწარმოო ობიექტების მფლობელი კომპანიების უშუალო ჩართულობით.

გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედებები და აღნიშნულია, რომ ამგვარ ზემოქმედებას ადგილი ექნება როგორც მშენებლობის, ასევე კუნძულის მოწყობის შემდეგ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხელოვნური კუნძულის მოწყობით მნიშვნელოვნად შეიცვლება საპროექტო აკვატორიის ვიზუალურ-ლანდშაფტური ფონი, რაც განსაკუთრებით აღქმადი იქნება ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის მიმდებარე საცხოვრებელი ზონებიდან და საავტომობილო გზიდან. კუნძულის მშენებლობის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სამშენებლო ინფრასტრუქტურის არსებობასთან და საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებთან. ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მტირალას ეროვნული პარკიდან დაშორებულია დაახლოებით 6 კმ-ით, ზურმუხტის ქსელის უბნიდან - „ჭოროხის დელტა GE0000054“ დაახლოებით 7.3 კმ-ით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული ბიომრავალფეროვნებისა და ზღვის ბიოლოგიური გარემოს კვლევების მეთოდოლოგიის, მიზნების, შედეგებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. გზშ-ის ანგარიში ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე ფლორისა და ფაუნის სახეობების შესახებ, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფლორისტული შეფასება მოიცავდა ორ კომპონენტს: საკვლევ დერეფანში არსებული ჰაბიტატების დეტალური ნუსხების შედგენას და მცენარეული საფარის ინვენტარიზაციას საკვლევ დერეფნის გასწვრივ. მონაცემები შეგროვდა მარშრუტული მეთოდიტაც. მცენარეთა სახეობების იდენტიფიკაციასა და ნუსხების შედგენასთან ერთად, მოხდა ასევე საფრთხის, ენდემურობის და დაფარულობის განსაზღვრა შესაბამისი სახეობებისთვის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ხელოვნური კუნძულის მშენებლობისთვის გათვალისწინებული საზღვაო არეალის მოპირდაპირედ წარმოდგენილია ბათუმის ურბანული ზონა, სადაც ქალაქებისთვის დამახასიათებელი ანთროპოგენური ლანდშაფტებია წარმოდგენილი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საზღვაო აკვატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული, გადაშენების საფრთხის წინაშე (EN) ან კრიტიკული გადაშენების საფრთხეში (CR) მყოფი მცენარეთა სახეობები.

ფაუნის კვლევა მოიცავს ფრინველების, ძუძუმწოვრების, იქთიოფაუნის, ხელფრთიანების, ქვეწარმავლების და ამფიბიების, ასევე უხერხემლოების შესახებ ინფორმაციას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარებული ფაუნისტური კვლევის მიზანს წარმოადგენდა საკვლევ ზონაში ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობის დადგენა, მობინადრე ცხოველებისთვის მნიშვნელოვანი ადგილსამყოფლების გამოვლენა, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის გავლენა ცხოველთა

მრავალფეროვნებაზე, შესაძლო ზემოქმედების განსაზღვრა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საპროექტო ზონაში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35-მდე, ხელფრთიანების 20-მდე, ფრინველების 300-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 20-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. ლიტერატურული წყაროების და ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, საკვლევ არეალში დაცული სახეობებიდან შესაძლოა შეგვხვდეს წავი (*Lutra lutra*) და კავკასიური ციცივი (*Sciurus anomalus*). აგრეთვე, საკვლევ ზონაში და მის მიმდებარე ადგილებში ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შეგვხვდეს: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa caucasica*), ციცივი (*Sciurus vulgaris*) კურდღელი (*Lepus europeus*), მაჩვი (*Meles meles*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), მგელი (*Canis lupus*), კვერნა (*Martes martes*), ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris*), თეთრმუცელა კბილეთერა (*Crocidura leucodon*), თაგვი (*Apodemus mystacinus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და სხვა. რაც შეეხება ხელფრთიანებს, ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), წვეტყურა მდამიობი (*Myotis blythii*), ულვაშა მდამიობი (*Myotis mystacinus*), მეგვიანე ღამურა (*Eptesicus serotinus*), წითური მელამურა (*Nyctalus noctula*), ჩვ. ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), ჯუჯა ღამორი (*Pipistrellus pipistellus*) და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ორნითოლოგიური საველე კვლევა განხორციელდა 2023 წლის აპრილის თვეში. საველე კვლევასა საქართველოს წითელი ნუსხით და საერთაშორისო (IUCN) წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან არცერთი არ დაფიქსირებულა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ორნითოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიასა და მის მიმდებარე აღრიცხული და გამოვლენილია ფრინველთა 300-ზე მეტი სახეობიდან 23 სახეობა წარმოადგენს მოზუდარ სახეობას. დანარჩენი სახეობები ჩნდებიან მიგრაციებისა და გამოზამთრების პერიოდში, ზოგი სახეობა ვიზიტორია. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ქ. ბათუმი და მიმდებარე ტერიტორიები მოქცეულია ფრინველთა ძირითადი სამიგრაციო მარშრუტის არეალში. ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ხვდება ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორიის KBA (Key Biodiversity Area) of "Batumi 1"-ის ფარგლებში, აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტის განხორციელება გარკვეულად დაკავშირებული იქნება ფრინველებზე ზემოქმედების გარკვეულ რისკებთან. აგრეთვე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ახლოსაა ფრინველთა სპეციალურ დაცულ და მნიშვნელოვან ადგილების ტერიტორიებთან, კერძოდ „Batumi” SPA 16 და IBA - Batumi GE014, დაახლოებით 7,3 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია - SPA 15 Chorokhi Delta.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საპროექტო არეალში საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ქვეწარმავლების სახეობებიდან გვხვდება კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), მცირე კავკასიონის ენდემური სახეობებიდან: წითელმუცელა ხვლიკი (*Darevskia parvula*). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, რადგან პროექტის განხორციელება დაგეგმილია საზღვაო აკვატორიის ფარგლებში და საპროექტო აკვატორიის მიმდებარე ტერიტორიები ხასიათდება მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით, პროექტის განხორციელება ხმელეთის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების მაღალ რისკებთან დაკავშირებული არ იქნება. კუნძულის მშენებლობის ეტაპზე ხმელეთის ფაუნის სახეობებზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: სანაპირო ზოლში სამუშაოების დაწყებამდე მოხდება ტერიტორიების შემოწმება ცალკეული სახეობების საბინადრო

ადგილების/სოროების გამოვლენის მიზნით; ამფიბიების ლარვების აღმოჩენის შემთხვევაში არ მოხდება მსგავსი ადგილების ხელყოფა/ამოშრობა; ფრინველებზე ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით, სამშენებლო ბანაკის და სამშენებლო მოედნების ტერიტორიებზე გამოყენებული იქნება ოპტიმიზებული ღამის განათების სისტემები და სხვა.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და აღნიშნულია, რომ 144.3223 ჰა ფართობის ტერიტორიიდან პირდაპირ ზემოქმედებას ადგილი ექნება 108.5032 ჰა ფართობზე, სადაც მოსალოდნელია ზღვის ბიოლოგიური გარემოს საბინადრო ჰაბიტატის მუდმივად დაკარგვა, ხოლო დანარჩენი ტერიტორია მოექცევა გავლენის ზონაში და შესაბამისად ადგილი შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირ ზემოქმედებას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ზღვის ბიოლოგიური გარემოს კვლევის მიზნით ჩატარებულია კამერალური, საველე და ლაბორატორიული კვლევები. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის მეთოდოლოგიის, მიზნებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის: ძუძუმწოვრების კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ვიდეომონიტორინგი; პლანქტონური და ფსკერული თანასაზოგადოების შესწავლის მიზნით ნიმუშები შეგროვდა საკვლევ აკვატორიაში წინასწარ შერჩეულ 16 სადგურზე; ფიტოპლანქტონის სინჯები აღებულ იქნა თითოეული სადგურის ზედაპირულ ფენაში და ოთხ სიღრმისეულ სადგურზე (ზედაპირიდან და 20 მ სიღრმეზე), ჰლ მოცულობის ბათომეტრის გამოყენებით; ზოოპლანქტონის სინჯების აღება მოხდა სპეციალური პლანქტონის ბადის გამოყენებით; საკვლევ აკვატორიაში ბენტოსის სინჯების აღება განხორციელდა სხვადასხვა იზობათზე Van Veen-ის ტიპის ფსკერსახაპის (მოხაპვის ფართი 0,127 მ²) გამოყენებით. სულ შეგროვებული და დამუშავებული იქნა 16 სიღრმისეული სინჯი; შავი ზღვის იქთიოფაუნის პარაზიტოლოგიური კვლევის მიზნით მოპოვებული იქნა 10 ეგზემპლარი სტავრიდას სახეობის თევზი და შემდგომ ლაბორატორიულ პირობებში გაგრძელდა მათი გამოკვლევა, აგრეთვე ჩატარდა წყლის ხარისხის კვლევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შავ ზღვაში გვხვდება ძუძუმწოვრების 4 სახეობა: ხმელთაშუა ზღვის სელაპი (*Monachus monachus*); შავი ზღვის აფალინა (*Tursiops truncatus ponticus*), თეთრგვერდა დელფინი (*Delphinus delphis ponticus*) და ზღვის ღორი (*Phocaena phocaena relicta*). გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნულთაგან შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში სამივე სახეობის დელფინი გვხვდება მთელი წლის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კვლევის დროს დაფიქსირდა 8 ცალი ძუძუმწოვარი, რომელთა შორის ჭარბობდა - შავი ზღვის ღორი (*Phocoena phocoena ssp. Relicta*). გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო არეალი შავი ზღვის ძუძუმწოვრებისათვის მუდმივ სამყოფელს არ წარმოადგენს, ინდივიდების გავრცელება დაკავშირებული იყო საკვების მოპოვებასთან. აგრეთვე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კუნძულის სამშენებლო სამუშაოების დაწყების, მშენებლობის და შემდგომ ექსპლუატაციის პერიოდში პირველი 10 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება შავი ზღვის ძუძუმწოვრების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების მიხედვით განისაზღვრება საჭირო შემარბილებელი და საკონსერვაციო ღონისძიებები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბათუმი/ბარცხანას აკვატორიის ჰიდრობიონტთა ფონური ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდა ჰიდრობიოლოგიური და იქთიოლოგიური კვლევები. კვლევის არეალი მოიცავდა ზღვის აკვატორიას მდ. ბარცხანას წყლის შესართავიდან დაცულ ნავმისადგომამდე. საკვლევ არეალში განხორციელებული საზღვაო ექსპედიციის შედეგად აღებული იქნა წყლისა და ფსკერული გრუნტის ნიმუშები. საკვლევ აკვატორიაში შესწავლილი იქნა პლანქტონური (ფიტოპლანქტონი, ზოოპლანქტონი) და ბენტოსური (მაკროზოობენტოსი) თანასაზოგადოება, განისაზღვრა მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები. ასევე შერჩეულ თევზის ნიმუშებზე განხორციელდა პარაზიტოლოგიური გამოკვლევა. ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ზღვის წყლის ნიმუშებში მძიმე მეტალების და ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების ზენორმატიული შემცველობა დაფიქსირებული არ ყოფილა. ჩატარებული

კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ საპროექტო აკვატორია არ გამოირჩევა თევზების საქვირითე ადგილმდებარეობით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ აკვატორიაში იდენტიფიცირებულია მაკროზოოტონოსის 7 ტაქსონომიური ჯგუფი (Polychaeta, Bivalvia, Gastropoda, Crustacea, Nemerthea, Cnidaria, Phoronida) და მათში გაერთიანებულ ჰიდრობიონტთა 50 სახეობა. საპროექტო აკვატორიის ფიტოპლანქტონის კვლევის შედეგების მიხედვით, საკვლევ აკვატორიაში მაისის თვეში განხორციელებული კვლევების შედეგად იდენტიფიცირებულია ფიტოპლანქტონის ექვსი ძირითადი ჯგუფის წყალმცენარე Bacillariophyceae, Dinophyceae, Euglenophyta, Chlorophyta, Xantophyta და Cyanophyta, სულ 60 სახეობა, რომელთა შორის მნიშვნელოვნად დომინირებს დიატომოვანი წყალმცენარეები (Bacillariophyceae). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევ არეალში ზოოპლანქტონის 6 ტაქსონომიური ჯგუფი გამოვლინდა, სულ იდენტიფიცირებული იყო ზოოპლანქტონის 18 სახეობა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ძირითადი ზემოქმედება მოსალოდნელია შავი ზღვის ბენტოსურ პოპულაციებზე, თუმცა, შემარბილებელი ღონისძიების სახით დაგეგმილია არსებული გრუნტის ანალოგიური ან/და გაუმჯობესებული ჰაბიტატების შექმნა (კუნძულის შიდა აკვატორია), რის შედეგადაც, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელია ბენტოსური ინდივიდების პოპულაციების ჩამოყალიბება და მათი ბიომასის მზარდი მაჩვენებლის მიღწევა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შავი ზღვის სანაპირო აკვატორიის გარდა, შესწავლილია საპროექტო არეალში და მიმდებარედ არსებული წყალსატევების: მდ. ყოროლისწყალი, მდ. კუბასწყალი და მდ. ბარცხანას შესართავები და მდინარეების ჰიდრობიოლოგიურ-იქთიოლოგიური ფონური მდგომარეობა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე შავ ზღვაში გავრცელებული თევზების სახეობების ჩამონათვალი, დაცულობის სტატუსები და სატოფო პერიოდები. სახეობებისთვის დამახასიათებელი ჰაბიტატებით, განისაზღვრება საკვლევ არეალში არსებული მოსალოდნელი იქთიოფაუნა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ბათუმის სანაპირო აკვატორიაში შესაძლოა შეგვხვდეს დაახლოებით 46 სახეობის თევზი. მათ შორის, მაღალი საკონსერვაციო სტატუსის სახეობებიდან, გზმ-ის ანგარიშში ყურადღება გამახვილდა ზუთხზე და შავი ზღვის ორაგულზე. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ზუთხი სატოფოდ მხოლოდ მდ. რიონში შედის, ხოლო შავი ზღვის ორაგულის ფორმის ინდივიდები ზღვასა და მდინარეში მიგრირებენ. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მდ. ბარცხანას და მდ. კუბასწყლის ჰიდროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მდინარეებში ორაგულის მიგრაცია არ ხდება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, იქთიოფაუნის საკვები ბაზის მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, საპროექტო არეალში და მიმდებარედ არსებულ მდინარეებში (მდ. ყოროლისწყალი, მდ. კუბასწყალი და მდ. ბარცხანა) შესწავლილი იქნა მაკროუხერხემლოები. მიღებული შედეგების მიხედვით, მაკროუხერხემლოების დამაკმაყოფილებელი რაოდენობა დაფიქსირდა მდ. ყოროლისწყლის კალაპოტში, ხოლო შავ ზღვის შესართავთან, მდ. კუბასწყალში და მდ. ბარცხანაში მაკროუხერხემლოების ინდივიდები არ დაფიქსირდა, რაც გზმ-ის ანგარიშის თანახმად მდინარეების ნავთობპროდუქტებით დაბინძურებასთანაა დაკავშირებული. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაბიტატებზე ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ზღვის წყლის კუნძულის შიდა აკვატორიაში წყალცვლის პროცესის შეფერხებასთან, რაც გზმ-ის ანგარიშის თანახმად გამოიწვევს პლანქტონური თანასაზოგადოების მასიურ ყვავილობას - ეუთროფიკაციას. რასთან დაკავშირებითაც, როგორც აღინიშნა, ჩატარებული იქნა კუნძულის შიდა აკვატორიაში წყლის ცვლის გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება და გაკეთდა დასკვნა, რომ შიდა აკვატორიის წყლის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, დაგეგმილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო აკვატორია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი, ან საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული არცერთი სახეობისათვის არ წარმოადგენს კრიტიკულ ჰაბიტატს და შესაბამისად ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედება

მოსალოდნელი არ არის. წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: უზრუნველყოფილი იქნება პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი; სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ჩატარდება სამშენებლო მოედნის მიმდებარე აკვატორიის წყლის ლაბორატორიული კვლევა და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ღონისძიებები; მშენებლობის პერიოდში მონიტორინგის გეგმის მიხედვით ჩატარდება საპროექტო აკვატორიაში ჩამდინარე ზედაპირული წყლის ობიექტების და ზღვის წყლის და ფსკერული ნალექების ხარისხის კვლევა. აგრეთვე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები: ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების რისკის მქონე სამუშაოების იქთიოფაუნის ქვირილობის პერიოდისათვის არიდება; სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში ჩატარდება ზღვის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი, ექსპლუატაციის ეტაპზე მონიტორინგი განხორციელდება ექსპლუატაციის საწყისი 10 წლის განმავლობაში. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, განისაზღვრება შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები.

დოკუმენტაციაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შეფასება წარმოდგენილია სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დროს. დოკუმენტში მითითებულია ინფორმაცია სამუშაო დანადგარებისა და სამშენებლო ტექნიკის რაოდენობის შესახებ, ასევე სამუშაო პროცესის ხანგრძლივობა და ის ძირითადი მონაცემები, რომელიც გამოყენებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შეფასების ნაწილში. სტაციონარული წყაროებიდან იდენტიფიცირებულია ბეტონ-შემრევი დანადგარი და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურა. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი დამაბინძურებელი ნივთიერებებით, რომელიც უკავშირდება საქმიანობებს, როგორცაა მიწის სამუშაოები (ექსკავაცია, ნიადაგისა და ფხვიერი მასალების დასაწყობება, გადმოტვირთვა და.ა.შ.), სამშენებლო ტექნიკის გამოყენება, ბეტონშემრევი და სამშენებლო დანადგარების მუშაობა და ა.შ. რომელთა ფუნქციონირებისას შესაძლებელია ჰაერში გაიფრქვეს შემდეგი სახის ნივთიერებები: რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი), მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის (II) ოქსიდი, ნახშირბადი (ჰვარტლი), გოგირდის დიოქსიდი, დიჰიდროსულფიდი (გოგირდწყალბადი), ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, ნავთის ფრაქცია, ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი.

წარმოდგენილი გაბნევის ანგარიში სამშენებლო პერიოდის მიხედვით შესრულებულია საკურორტო ტერიტორიებისთვის დადგენილი ზღკ-ს შესწორების კოეფიციენტის (0,8) მიხედვით, ასევე ფონური მნიშვნელობების სახით გათვალისწინებულია მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-8 პუნქტით მიღებული რეკომენდაციები, მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად დადგენილი ფონური მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც მშენებლობის პროცესში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს უახლოესი დასახლების (პირდაპირი მანძილი 65მ) მიმართ (მაქსიმალური კონცენტრაცია შეწონილი ნაწილაკების, ზღკ-ს წილი - 0,81მგ/მ3).

დოკუმენტაციაში შეფასებულია შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ტერიტორიის 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული საწარმოების მიერ კუმულაციური ზემოქმედების რისკები. კერძოდ: კუმულაციური ზემოქმედების სახით შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ტერიტორიის არეალში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესაფასებლად გამოყენებულია შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნავთობპროდუქტების საცავის, შპს „ტერმინალ 1“-ის ნავთობპროდუქტების საცავის, შპს „კარგო

პარსელის“ წიაღისეული საწვავის, ნავთობპროდუქტის და ქიმიური პროდუქტების საცავის, შპს „ბათუმი პეტროლიუმის“ ნავთობპროდუქტების საცავის და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მაჩვენებლები. შეფასებული მონაცემების მიხედვით მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ტერიტორიაზე შეადგენს 0,684 მგ/მ³ (ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19 ზდკ-ს წილი).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში ადგილი ექნება ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული ხმაურის წყაროები, რომელთა განთავსება დაგეგმილია სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (მდ. ბარცხანას შესართავის მიმდებარედ.), საიდანაც საცხოვრებელ ზონამდე დაცილება გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არ იქნება 200 მ-ზე ნაკლები. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის ეტაპზე ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროულად მუშაობის (ყველაზე უარესი სცენარი) შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე იქნება 92,8 დბა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გამოთვლილ იქნა ხმაურის გავრცელება ხიმიანჯების მოწყობის სამუშაოებისას. რომლის მიხედვით, ზღვის მიერ ხმაურის შთანთქმა უმნიშვნელოა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მოლოების მოწყობის სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის გაანგარიშების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფსკერდაღმავების სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებული იქნება შიდა აკვატორიაში, მშენებლობის პროცესში წყალქვეშა ხმაურის გავრცელების რისკი არ იქნება მაღალი და შესაბამისად წყლის ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. აგრეთვე, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი და შემოიფარგლება მხოლოდ დამცავი მოლოების მშენებლობის პერიოდით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის: სამშენებლო სამუშაოები (მაგალითად ბეტონის კვანძი და ბლოკების დამზადების უბანი) უპირატესად იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნება ხმაურის გავრცელების დონეების მონიტორინგი სამშენებლო ბანაკის და უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე; უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა; წყალქვეშა ხმაურის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, მოლოების მშენებლობის პროცესში მინიმუმამდე შემცირდება მცურავი საშუალებების გამოყენება; იქთიოფაუნაზე ხმაურის და ვიბრაციის ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების რისკის მქონე სამუშაოების იქთიოფაუნის ქვირითობის პერიოდისათვის არიდება და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია, საპროექტო ტერიტორიასა და საცხოვრებელ ზონას შორის, საავტომობილო გზისა და სარკინიგზო მაგისტრალის არსებობასთან დაკავშირებით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კუნძულის მშენებლობის ეტაპზე სატრანსპორტო ოპერაციების შესრულება დაკავშირებული იქნება მოძრაობის ინტენსივობის ზრდასთან. შესაბამისად, არსებობს ზემოქმედების გარკვეული რისკები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: სატრანსპორტო ოპერაციები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში; საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე მოძრაობისას დაწესდება სიჩქარის შეზღუდვა; მოძრაობის რეგულირებისათვის გამოყოფილი იქნება სპეციალური პერსონალი (მედროშეები); ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირების მიზნით გამოყენებული

თვითმცლელი ავტომანქანები აღჭურვილი იქნება სპეციალური მარის მქონე საფარით და სხვა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კუნძულის მშენებლობის პერიოდში, ექსპლუატაციაში შევა ქ. ბათუმის შემოვლითი საავტომობილო მაგისტრალი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციურ ზემოქმედებას, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

ჰაბიტატის დაკარგვასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარე დაცული ნავმისადგომი. ასევე, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ზღვის წყლის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებით. ზღვის ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კუნძულის მშენებლობის პროცესში კონტროლი დაწესდება წყლის გარემოზე ზემოქმედების შემცირებისათვის დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე. გარდა ამისა განხორციელდება მონიტორინგი კუნძულის სამშენებლო მოედნის მიმდებარე აკვატორიის წყლის ხარისხზე.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოსალოდნელია, როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენი შეგროვდება და დროებით დასაწყობდება კომპანიის ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე. ნარჩენების შეგროვება მოხდება მათი სახეობისა და მახასიათებლების მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული იქნება შესაბამისი მოცულობისა და მასალის კონტეინერები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ბათუმის დასუფთავების მუნიციპალური სამსახური გაიტანს ნაგავსაყრელზე. არასახიფათო სამშენებლო ნარჩენები განთავსდება ქ. ბათუმის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. სახიფათო ნარჩენები დროებით განთავსდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილ სპეციალურ კონტეინერული ტიპის სათავსში და დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვისთვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს, მათ შორის ფსკერდაღრმავების სამუშაოების შედეგად ამოღებული დაბინძურებული გრუნტის (ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე) შემდგომი მართვა მოხდება როგორც სახიფათო ნარჩენის. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან ხელოვნური კუნძულის მოწყობა დაგეგმილია საზღვაო აკვატორიის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. აგრეთვე, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების წარმოების დროს (მოლოს საძირკვლებისათვის ფსკერდაღრმავების სამუშაოები) არქეოლოგიური ძეგლის არსებობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ბათუმის ხელოვნების ცენტრის და ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის შენობების ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი და საჭიროა პროექტის შეთანხმება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან. სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ცნობით, სააგენტო არ არის წინააღმდეგი მოქმედი საკანონმდებლო ნორმების დაცვით გაიცეს შესაბამისი ნებართვა. აგრეთვე, წერილში აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №18 დადგენილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილეობას იღებს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო,

რომელსაც, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო მხოლოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ორგანიზაციულ და მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას უწევს. მოქმედი რეგულაციის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, შესაბამისი პროექტის წარდგენის შემდგომ იმსჯელებს კულტურული მემკვიდრეობის საბჭო და მიიღებს გადაწყვეტილებას ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევაზე დაყრდნობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სააგენტოს ეცნობა, რომ შენიშვნები არ გააჩნია შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ ქ. ბათუმში ხელოვნური კუნძულის მოწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე.

პროექტის მიხედვით ამოღებული ფსკერული გრუნტის რაოდენობა შეადგენს 139.126.2 მ³-ს. ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულება დაგეგმილია ე.წ. მიწახაპიას გამოყენებით და ამოღებული წყალნარევი გრუნტის გადატუმბვა მოხდება ხელოვნური კუნძულის და ნახევარკუნძულების ტერიტორიებზე მათი ფორმირებისათვის გამოყენების მიზნით. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღით სარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. ფსკერდაღრმავების სამუშაოების შედეგად ფსკერული ნალექების - გრუნტის მოპოვება, შემდგომი გამოყენების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება ლიცენზირებას. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა ან/და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით ან/და ამ დებულებით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. ბათუმის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 12 იანვარს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქმიანობის განმახორციელებელი შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“, გზშ-ის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვის დროს დასმული შეკითხვები ეხებოდა სანაპირო ხაზის სიგრძის, მოლოების, დაგეგმილი საქმიანობით პორტზე და კლიმატის ცვლილებაზე გავლენის, წყალარინების, ნარჩენების მართვისა და ნავთობპროდუქტების დაკონსერვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აგრეთვე, საჯარო განხილვის მსვლელობისას დამსწრე საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილება გამოიხატა საჯარო განხილვის საჯაროობისა და საზოგადოების ჩართულობის არაეფექტურობასთან დაკავშირებით, მდინარე ბარცხანას სანაპიროს გამოყენებასთან, ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლასთან დაკავშირებით, ასევე კრიტიკული მოსაზრებები გამოითქვა ბათუმის გენგეგმასთან დაკავშირებულ საკითხზე. დასმულ შეკითხვებს პასუხი გაეცა შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ და საკონსულტაციო კომპანია - შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლების მიერ. საჯარო

განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/შეკითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“, „ბათუმის თავისუფლების მოედნის“ წევრების, ურბანისტი გიორგი აბაშიძისა და სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილის წერილობითი შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა წყლის დაბინძურების, ინერტული მასალებით მომარაგების, პორტის გაფართოების შესაძლებლობის, ურბანულ და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ადგილებთან დაკავშირებულ საკითხებს, ზღვის ბიოლოგიური კვლევების, ზღვის მაკროფიტების/ფიტოპლანქტონის, ზღვის მიკროფლორის შესწავლის, ზღვის მიკრობიოლოგიური ფონის და მიკრობიოლოგიური დაბინძურების საკითხებს, ეუთროფიკაციისა და დანაზარდის საკითხებს, საპროექტო, ასევე მიმდებარე აკვატორიის იქთიოპლანქტონის, საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობების შესახებ ინფორმაციას, ფსკერდამაღრმავებელი სამუშაოების წარმოებისა და გრუნტების მართვის საკითხებს, აგრეთვე ურბანულ, ეკონომიკურ, სოციოლოგიურ და სხვა საკითხებს. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში. დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“ წერილობითი შენიშვნები, რაზეც განმარტებები მოცემულია თანდართულ ცხრილში.

გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ნარჩენების მართვის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი, დასკვნები და რეკომენდაციები. დამატებით წარმოდგენილია ხელოვნური კუნძულის სანაპიროს სტრუქტურის დეტალური პროექტი, ჰიდროლოგიური მიდგომებისა და ჰიდრაულიკური პროექტირების ანგარიში, ჰიდროდინამიკური და წყლის ცვლის შესახებ ანგარიში, გეოტექნიკური კვლევის ანგარიში, საპროექტო აკვატორიაში ჩამდინარე ზედაპირული წყლების ჰიდროლოგიური მონაცემები, საპროექტო მოლების გეგმები და ჭრილები, ხელოვნური კუნძულის გენერალური გეგმა.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.7 ქვეპუნქტის და მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ბათუმში, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაციის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების, შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შესაბამისად,

მათ შორის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის 2013 წლის №413 დადგენილება), ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების/გარემოსდაცვითი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

4. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს მდ. კუბასწყლის წყალდიდობის ჰიდროგრაფისა და მოლოებით შემოსაზღვრულ აკვატორიაში ინტენსიური წვიმების შედეგად აკუმულირებული წყლის მოცულობის და ზღვაზე სხვადასხვა მეტეოროლოგიური პირობების სცენარების შესაბამისი, აკვატორიაში დამყარებული დონეების გაანგარიშებების სააგენტოში წარმოდგენა შესათანხმებლად;
5. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული გეოდეზიური დაკვირვებების ქსელის პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
6. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს დაზუსტებული ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა ღრმა გრუნტების შეფასების მიზნით გაყვანილი დამატებითი ჭაბურღილის შესახებ;
7. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან სამი თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება:
 - წინასამშენებლო კვლევის ფარგლებში ამჟამინდელი მდგომარეობით არსებული ზღვის ეკოსისტემის (ჰაბიტატები, ზღვის მუცმუწოვრები, თევზები, უხერხემლოები, მათ შორის მაკროფიტები/ფიტობენტოზი და ა.შ.) შეფასება, წინასამშენებლო კვლევის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს „შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ (ACCOBAMS)“ საერთაშორისო შეთანხმებით და საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებულ საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებზე, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მათზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ და საჭიროებისამებრ საკომპენსაციო ღონისძიებებზე. გეგმაში ასევე უნდა აისახოს ზემოაღნიშნულ გასატარებელ ქმედებების განხორციელებასა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვებისა და სააგენტოსთან შედეგების წარმოდგენის საკითხი;
 - მწვანე კონცხის და ციხისძირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაკროფიტების არსებობის შესახებ ოთხივე სავეგეტაციო სეზონზე კვლევების ჩატარების საკითხი, კერძოდ, კვლევის დაწყება 2024 წლის შემოდგომა-ზამთარში და გაგრძელება 2025 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. კვლევის შედეგად, მწვანე კონცხისა და ციხისძირის მაკროფიტების ჰაბიტატების ფართობის, მრავალფეროვნებისა და შესაბამისი ეკოლოგიური სტატუსის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ, 3 წლის განმავლობაში ჰაბიტატებზე მშენებლობის სავარაუდო ზეგავლენის შეფასება სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
 - მშენებლობის დასრულებამდე მიკრობიოტის კვლევის განხორციელების საკითხი სეზონურობის გათვალისწინებით (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი), ხოლო შემდგომი მონიტორინგის 10 წლის განმავლობაში განხორციელების საკითხი, სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით;
 - მშენებლობის დასრულებამდე მშენებლობის შესაძლო გავლენის შესწავლის საკითხი იქთიოპლანქტონზე შესაბამისი კვლევების მეშვეობით, ასევე მონიტორინგის განხორციელების საკითხი მშენებლობის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში;
 - საქმიანობის შედეგად ზღვის ბიოლოგიურ გარემოს ცვლილებებსა და პრევენციულ ღონისძიებებზე, ასევე ჰაბიტატის აღდგენისათვის დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი. ამასთან, 10 წლიანი სამონიტორინგო დაკვირვების შემდგომ, მიღებული შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს აღნიშნული ვადის გახანგრძლივება და დამატებითი პრევენციული ქმედებების გატარება

სააგენტოსთან შეთანხმებით;

- მშენებლობის აკვატორიაში მყვინთავების მეშვეობით წყალქვეშა გადაღებითი (ვიდეოსკანირება) სამუშაოების ყველა ვეგეტაციურ სეზონზე განხორციელებისა და კვლევის შედეგების - სახეობათა მრავალფეროვნების (ჰიდრობიოლოგიური) შესაბამისი შეფასებით, სააგენტოში ექვს თვეში ერთხელ წარმოდგენის საკითხი;
- ფრინველებზე მოსალოდნელი ზემოქმედების (განსაკუთრებით ექსპლუატაციის ეტაპისთვის) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გარემოს მონიტორინგისას, გარე აკვატორიის წყლის სინჯის აღების საკონტროლო წერტილების GPS კოორდინატები და მშენებლობის ეტაპზე გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგის საკითხი, ასევე კუნძულის შიდა წყლის ხარისხის კვლევის საფუძველზე, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმების საკითხი.

მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

8. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს საქმიანობის დროებით ან ხანგრძლივი ვადით შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა-გრაფიკის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, ტერიტორიის სარემედიაციო ღონისძიებების, კონსერვაციის და პირველად მდგომარეობამდე აღდგენითი სამუშაოების მითითებით. ღონისძიებების მართვა უზრუნველყოს შეთანხმების შესაბამისად;
9. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ფსკერდაღრმავების სამუშაოების მართვის გეგმისა და ფსკერდაღრმავების სამუშაოებისას ამოღებული დაბინძურებული ნალექების (გრუნტის) მართვის შესახებ (გრუნტის გაუწყლოება, განთავსება და ა.შ) დეტალური ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ უზრუნველყოს ძლიერი შტორმის დროს, შემომზღულდავი ნაგებობის თხემზე ტალღის გადმოდინებისგან ადამიანების უსაფრთხოების დაცვის პირობების გატარება, როგორცაა გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი, ფიზიკური ბარიერების მოწყობა და სხვა;
11. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ უსახელო ხევის სადერივაციო კოლექტორის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სადერივაციო კოლექტორის პარამეტრების დაზუსტება მდინარეში ჩამდინარე და სანიაღვრე წყლების ხარჯების გათვალისწინებით და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
12. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს მდინარეების მყარი ნატანის (როგორც ფსკერული ისე ატივწარებული) დაზუსტებული მონაცემების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
13. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულებისას ფსკერული ნალექების - გრუნტის მოპოვება შემდგომი გამოყენების მიზნით უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
15. შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.)

ნორმების” შესაბამისად;

16. შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
17. შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდმა“ მშენებლობის დაწყებისა და დასრულების შესახებ აცნობოს სააგენტოს;
18. შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
19. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
20. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. ბათუმის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
21. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
22. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში;

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/442-21-4-202408140942>

